

სადოქტორო პროგრამა

სპეციალობა - ფილოლოგია

სპეციალიზაცია - ინგლისური ენა და ლიტერატურა

აკადემიური ხარისხი - ფილოლოგიის დოქტორი

პროგრამის ხანგრძლივობა - 3 წელი ანუ 6 სემესტრი

კრედიტების რაოდენობა - 180 ECTS

მოცულობა:

ლექცია-სემინარები	- 30 კრედიტი;	- 10 კრედიტი წელიწადში;
პედაგოგიური პრაქტიკა	- 18 კრედიტი	- 6 კრედიტი წელიწადში;
კონფერენცია/პროექტები	- 12 კრედიტი	- 4 კრედიტი წელიწადში;
პუბლიკაციები	- 12 კრედიტი;	- 4 კრედიტი წელიწადში;
კვლევა/დისერტაცია	- 108 კრედიტი	- 36 კრედიტი წელიწადში;

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამა სოციალურ და მასობრივ კომუნიკაციებში შემუშავებულია დასავლური სტანდარტების შესაბამისად და სუ-წესდების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში პირველად მომზადდეს სადოქტორო დისერტაციები მასობრივ კომუნიკაციებში, რომელიც იდენტური იქნება მსოფლიოში ამ სფეროში შესრულებული ნაშრომებისა და დოქტორანტებს მისცემს შესაძლებლობას თავიანთი კვლევებით სერიოზული კონკურენცია გაუწიონ უცხოელ კოლეგებს. კომუნიკაციური კვლევები დასავლურ ქვეყნებში პრიორიტეტულია არა მხოლოდ გლობალიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც აიძულებს მსოფლიოს მეცნიერულ საზოგადოებას იზრუნოს მცირე, ლოკალური კომუნიკაციური ტრადიციების შენარჩუნება-გადარჩენაზე, არამედ იმ პრაქტიკულ-სოციალური დატვირთვის გამოც, რაც მსგავსი ტიპის შრომებს გააჩნიათ თანამედროვე საზოგადოების თუ სოციალურ/პოლიტიკური ინსტიტუციების მშენებლობის სფეროში. პროგრამა ამ მიზნების შესაბამისადაა სტრუქტურირებული და პირველ რიგში ემსახურება ქვეყნისთვის გამოკვეთილ პრიორიტეტებს, კერძოდ: ჩვენი ტრადიციული თავისებურებების შედარებითი კვლევა, საზოგადოებებისა და პიროვნების ურთიერთობები, ქვეყანათ შორის ურთიერთობების პრობლემები და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი:

შედეგად მომზადდება სადისერტაციო ნაშრომები საქართველოსთვის აქტუალურ და პერსპექტიულ საკითხებზე, რომელთაც შეეძლება მეცნიერული ღირებულების გარდა სერიოზული პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადების საფუძველი შექმნან ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში. პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული მოდულები ემსახურება იმას, რომ: 1. შეიქმნას ნაშრომები, რომელშიც ასახული იქნება მეცნიერების ამ სფეროში არსებული უახლესი მიღწევები; 2. კვლევები დაეფუძნოს კომუნიკაციების კვლევის დასავლურ მეთოდებს; 3. მომზადდეს საფუძველი ამ მიმართულების სერიოზული გამლიერებისთვის საქართველოში; 4. მომზადდეს თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი სოციალურ და მასობრივი კომუნიკაციების სპეციალისტთა თაობა, რომლებიც შეძლებენ ასეთი ტიპის მეცნიერული და პრაქტიკული კვლევები ქვეყნის ერთერთ პრიორიტეტად აქციონ და ამით დააჩქარონ ახალ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირების პროცესი.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

პროგრამის მოთხოვნებიდან და დოქტორანტის პირადი გარემოებებიდან გამომდინარე, მას ეძლევა ორი შესაძლებლობა:

პროგრამაში დარეგისტრირდეს სრული განაკვეთით – სწავლების 3 წელი,

ნაწილობრივი განაკვეთით – სწავლების 6 წელი.

სადოქტორო პროგრამაზე მიღებიან არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები. დოქტორანტობის კანდიდატს, სადოქტორო პროგრამის დაწყებისას უკვე უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც. შესაძლოა ეს პუბლიკაცია იყოს მისივე სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. განსაკუთრებულ შემთხვევებს დაცვის საბჭო განიხილავს ინდივიდუალურად.

საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერთან განაცხადის შეტანის შემდეგ, დოქტორანტი ორი კვირის განმავლობაში უნდა დარეგისტრირდეს პროგრამაზე და, შესაბამისად, გადაიხადოს პროგრამის ღირებულების მესამედი, ანუ ერთი წლის სწავლის საფასური.
 დოქტორანტის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი მასთან აფორმებს ხელშეკრულებას.

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნა:

აკადემიური ხარისხის მისანიჭება ხდება დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის სრულად ამოწურვის შემდეგ, კერძოდ თუ:

დოქტორანტმა დააგროვა ინდივიდუალურ ლექცია-სემინარებში 30 ECTS;

სადოქტორო პროგრამით სწავლის I წლის დასრულებისას წარმოადგინა GMAT /GRE-ის საერთაშორისო სერთიფიკატი;

მონაწილეობა მიიღო სუ-ში 3 კურსის წარმართვაში (უმალეს პროფესიულ ან/და საბაკალავრო პროგრამაში), რითაც დააგროვა 18 ECTS;

გამოაქვეყნა სულ მცირე 5 სამეცნიერო ნაშრომი, სკოლის მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო ხასიათის ჟურნალებში, თუ კრებულებში;

მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 3 კონფერენციაში (აქედან 2 საერთაშორისო ხასიათის);

წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

სადოქტორო დისერტაციის დაცვა ჩამოთვლილი კომპონენტებიდან დისერტანტისათვის შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ დიპლომის გაცემა ხდება მხოლოდ ყველა კომპონენტის შესრულების შემდეგ.

თუ დისერტანტს დამთავრებული აქვს სრული პროგრამა და მიღებული შესაბამისი კრედიტები, მაშინ დიპლომის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

სასწავლო დროისა და კრედიტების განაწილება დოქტორანტურაში

აქ მოყვანილია სალექციო დროის განაწილების ზოგადსაუნივერსიტეტო მოდელი, რომელიც ასახავს აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტის პოლიტიკას. ლექტორს, რა თქმა უნდა, აქვს სრული თავისუფლება თითოეული ლექციისათვის თვითონ განსაზღვროს ლექციის სხვადასხვა ნაწილების (ჩათვლა, დისკუსია, ლექციის თეორიული ნაწილი) მოცულობა და ხანგრძლივობა.

დოქტორანტის დატვირთვა		წლის თვეები													კრედ/სთ. ECTS
		09	10	11	12	01		02	03	04	05	06	07/08		
						31-14	15-31								
1	ლექცია./სემინარი	3	3	3	3		3	3	3	3	3	3		10კრ/წ.×3=30	
2	პედაგოგიური პრაქტიკა.(სემინარი, ლექცია/პრაქტიკული)	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	6კრ/წ×3=18	
3.	კონფერენც/პროექტ.მმონაწილეობა	წელიწადში *1 კონფერენცია მაინც											4კრ/წ×3=12		
4.	პუბლიკაციები	წელიწადში*2 სტატია მაინც, ანუ სულ 6; ან 2 სტატია და 1 მონოგრაფია											4კრ/წ×3=12		
5.	კვლევა/დისერტაცია	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	36კრ/წ×3=108	
სულ														180	

სადოქტორო დისერტაციის კრედიტები და მოდულები:

საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამები აგებულია მოდულების პრინციპით და ამის გათვალისწინებით კვლევა-დისერტაცია მოიცავს 9 მოდულის მომზადება-ჩათვლას, რომელთაგან 4 საუნივერსიტეტო მოდულია და გათვლილია დოქტორანტის, როგორც მკვლევარის საერთო მეცნიერული კომპეტენციის გაუმჯობესება-სრულყოფაზე, 4 მოდული მისი სამეცნიერო მიმართულებიდან გამომდინარეა და ხელს უწყობს დოქტორანტის პროფესიულ სრულყოფას, ხოლო მეცხრე მოდული უშუალოდ დოქტორანტის მიერ მომზადებული და წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომია.

სადოქტორო პროგრამის საუნივერსიტეტო მოდულები:

1. კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები –12 ECTS.

ესაა საუნივერსიტეტო მოდული ყველა მიმართულების დოქტორანტებისთვის და გულისხმობს შემდეგ კომპეტენციებს:

- თეორიული ცოდნა
- ემპირიული ცოდნა
- პრაქტიკული ცოდნა

თეორიული ცოდნა - კომპეტენცია რომელიც ქმნის საფუძველს ფაქტებისა და არგუმენტების პრეზენტაციებისათვის და ზოგადად, სამყაროს ადექვატური აღქმისათვის.

ემპირიული ცოდნა - ეს კომპეტენცია გულისხმობს კვლევამდე აღმოჩენილის განხილვას და შედეგების გაანალიზებას. ემპირიული კომპონენტის მიზანია დაეხმაროს მკვლევარს იმ მიმართების გაანალიზებასა და შეფასებაში, რომელიც არსებობს კვლევის მეთოდებსა და საკვლევ სფეროს შორის.

პრაქტიკული ცოდნა - ეს კომპეტენცია წარმოადგენს თეორიული და ემპირიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურ კონტექსტს.

საუკეთესო გზა იმისთვის რომ ისწავლო კვლევა, უნდა იკვლიო, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა ეძებო საკვლევი სფერო და მისთვის შესაბამისი საკვლევი მეთოდი.

2. ადამიანმცოდნეობითი მოდული–12 ECTS.

საქართველოს უნივერსიტეტში განხორციელებული ყველა სადისერტაციო კვლევა, მნიშვნელოვანია სოციალური ტიპის ცვლილებათა თვალსაზრისით; ნებისმიერი კვლევის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ადამიანის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, შემეცნებითი, ემოციური, ზნეობრივი, სულიერი თუ ქცევითი მოდელებისა და ასპექტების ერთობლივი სიღრმისეული კვლევა. აღნიშნული მოდული გულისხმობს არგუმენტირებული ნარკვევის მომზადებას ადამიანის, როგორც ფენომენის კვლევის სფეროში დოქტორანტის კონკრეტული სპეციალობის სპეციფიკის კონტექსტში.

3. საზოგადოებათმცოდნეობითი მოდული –12 ECTS.

მოდული გულისხმობს სოციუმის კვლევას მისი განვითარებისა და ცვლილებების თვალსაზრისით, რაც მოიცავს ისტორიულ, კულტურულ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამეცნიერო და ტექნიკურ ასპექტებს. სოციუმი მუდმივ დინამიკაში იმყოფება და, ამის გათვალისწინებით, მოდულზე მუშაობის შედეგად მკვლევარმა უნდა გააცნობიეროს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და კულტურულ ცვლილებათა პროცესის თავისებურებები; კრიტიკულად შეაფასოს საზოგადოებრივ ცვლილებათა თეორიის ლოკალური და გლობალური ზეგავლენა საზოგადოებაზე. ასეთი ტიპის თეორიული ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიღრმისეული მეცნიერული კვლევისათვის და ცოდნა მოიცავს განსჯასა და კრიტიკულ შეფასებას, მაკრო და მიკრო პარადიგმებს, თეორიებს, ხედვასა და პერსპექტივას, საყრდენი ცნებების იდენტიფიცირებას.

4. სოციალური ინსტიტუტები და სისტემები–12 ECTS.

სოციალური სისტემების თეორია გვთავაზობს პრობლემის მთლიანობაში ხედვის მოძიებას. აზროვნების ეს ფორმა ახდენს პრობლემის სეგმენტაციას, შემდგომ კი ათავსებს ცალკეულ სეგმენტებს სისტემაში და შეისწავლის სეგმენტთა შორის არსებულ მიმართებათა ტიპებს. სისტემების თეორია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების სწორედ იმ მოდელს, რომლის გამოყენებაც ევალება დოქტორანტს კვლევის პროცესში. სისტემათა თეორია აღრმავებს დოქტორანტის ცოდნას სამყაროს, ხალხის, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების შესახებ. ეს თეორია გვთავაზობს იმ საფუძვლების

შესწავლას, რომელიც ეხმარება მკვლევარს, დაინახოს საზოგადოება, როგორც ურთიერთდამოკიდებულ ქვესისტემათა მთლიანობა.

პროფესიული სრულყოფის მოდულები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (საერთო):

1. ჰუმანიტარული აზრის ისტორია–6 ECTS.

ჰუმანიტარული აზროვნება ცოდნის იმ დარგთა სინთეზია, რომელთაც აერთიანებთ ინტერესი ადამიანის ფენომენისადმი. ესენია: ფილოსოფია, ისტორია, ანთროპოლოგია, ენათმეცნიერება, ხელოვნება, სოციოლოგია, ეთნოლოგია და სხვა. ამ ტიპის მეცნიერებათა ჩამოყალიბების ისტორია და ინტერესის გაჩენა ჰუმანიტარული კვლევების მიმართ ადრეულ წარსულში დაიწყო და განვითარების ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვლო. მოდული მიზნად ისახავს დოქტორანტმა მოამზადოს არგუმენტირებული ნარკვევი ჰუმანიტარული აზროვნების აღმოცენებისა და განვითარების დინამიკის პროცესის თავისებურებათა, ძირითადი მახასიათებლების და იმ მოვლენების შესახებ, რომელთაც სერიოზული ძვრები გამოიწვიეს ჰუმანიტარული მეცნიერებების ისტორიაში.

2. ენობრივი კომპეტენციის მოდული–6 ECTS.

მოდული ორიენტირებულია დოქტორანტის, როგორც მეცნიერისთვის აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის გაძლიერებაზე, რაც გამოიხატება ამ ენაზე არსებული ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის (დაახლოებით 100 გვერდი) დამუშავებაში, მეცნიერული ანალიზისა და თარგმანის გაკეთებაში, რომელიც საბოლოო სახით დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი იქნება როგორც დამოუკიდებელი მოდული.

პროფესიული სრულყოფის მოდულები ფილოლოგიისთვის

3. ლინგვისტური კვლევის მეთოდები–6 ECTS.

ლინგვისტური კვლევის მეთოდები არ განიხილება, როგორც პრინციპებისა და ტექნოლოგიების დადგენილი “რეპერტუარი”. მეთოდებისა და ტექნოლოგიების ნუსხა იცვლება მეცნიერების ისტორიული პერიოდების თავისებურებათა და ლინგვისტური სკოლების მეცნიერული კვლევის პრიორიტეტების შესაბამისად. მიუხედავად ამ ფაქტისა, ლინგვისტური კვლევის მეთოდების “რეპერტუარში” იკვეთება იმ ტიპის მეთოდები, რომელნიც არასდროს არ კარგავენ აქტუალობას, ვინაიდან გააჩნიათ მემკვიდრეობითობისა და განახლების უნარი. ასეთი მეთოდები ინარჩუნებენ ღირებულ ფაქტორებსა და იძენენ ახალ პარადიგმებს. სწორედ ამ ტიპის კვლევის მეთოდების თავისებურებათა ანალიზზეა ორიენტირებული მოდული. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ინდუქცია და დედუქცია, დესკრიფცია, კომპარატივისტიკა და ა.შ.

4. ენა სტრუქტურალისტურ და კოგნიტურ ჭრილში–6 ECTS.

ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის იდეების დამკვიდრებასთან ერთად გაჩნდა ენის ლექსიკურ-სემანტიკურ მოვლენათა სისტემური აღწერის ისეთი მეთოდების შექმნის აუცილებლობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ენობრივ შინაარსთა სფეროს კვლევა, როგორც ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტთა სისტემებისა. ლინგვისტიკაში ანთროპოლოგიური მიდგომის შემოტანამ კი მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი კომუნიკანტის პიროვნული და სოციალური ასპექტების მიმართ. ცხადი გახდა, რომ მეტყველების გარკვეულ სტრატეგიათა რეალიზაცია და ინტერპრეტაცია შეუძლებელია მრავალფეროვან პიროვნულ და სოციალურ-კულტურულ ფაქტორთა გათვალისწინების გარეშე. მოდული ორიენტირებულია სტრუქტურული და კოგნიტური ლინგვისტიკის ამოსავალი ობიექტების თავისებურებათა ანალიზზე.

5. დისერტაციის მოდული:

მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის დაწერასა და მის საჯარო დაცვას.